



საავტორო უფლებების დაცვა

როგორ დავიცვა იდეა ?

„-იდეა, რომ გითხრა ხომ არ მომპარავ ? „ - საკმაოდ ხშირი და საკმაოდ ბუნებრივი ფრაზაა იმ ადამიანებისგან ვისაც ბიზნესის იდეა მოუვიდა და ახლა მის განხორციელებას იწყებს, თუმცა პირველ რიგში აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ იდეა მისი განხორციელების გარეშე მთლიანი საქმის 1 %-ია, ვინაიდან უკვე განხორციელებული და შექმნილი პროდუქტები განაპირობებენ სტარტაპის წარმატებას, შესაბამისად თუკი დამფუძნებელს „იდეის მოპარვის“ ეშინია ყველაზე კარგი გამოსავალია მის განხორციელებაზე უფრო მეტი ენერჯის დახარჯვა და ბაზარზე პირველი შესვლის უპირატესობის მოპოვება.

საბედნიეროდ კიდევ ბევრი კრეატიული გზა არსებობს იდეის დასაცავად და სანამ პატენტის ან საავტორო უფლების საკითხებზე გადავალთ განვიხილოთ ისინი.

პირველ რიგში ტარდება მცირე კვლევა - იქამდე სანამ დამფუძნებელი ვინმე ახალ პარტნიორთან ურთიერთობას დაიწყებს, კარგი იქნება ონლაინ მოიძიოს მასზე ინფორმაცია, გაარკვიოს როგორი რეპუტაცია აქვთ რაიმე დავას, ან სხვა სახის ნეგატიურ უკუკავშირს ხომ არ წერენ მასზე ? თუ რაიმე სანერვიულო საკითხს წააწყდება, პირველ რიგში აუცილებელია მისი ობიექტური მიზეზების გარკვევა და უშუალოდ კითხვის დასმა, ვინაიდან ხანდახან ონლაინ სრულ სიმართლეს არ წერენ. ¹

ასევე შესაძლებელია შემდეგი სამი იურიდიული დოკუმენტის გამოყენება:

■ **გაუთქმელობის ხელშეკრულება (Non-disclosure agreement (NDA))** - შესაძლებელია იდეის განხორციელებაში ჩართულ მხარეებმა ხელი მოაწერონ მოცემულ ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს იდეაზე დამოუკიდებლად მუშაობას, სხვა პირების ჩართვას და სხვა მსგავს საკითხებს. თუკი ხელშეკრულებას არ ექნება დასრულების თარიღი, იგი მუდმივად იმოქმედებს.

¹ Stephen Key, How to Protect Your Business Idea Without a Patent, Entrepreneur.com, 2013
<https://www.entrepreneur.com/article/226595>

■ **კონკურენციის ხელშეკრულება (Non-compete agreement)** - მოცემული ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს დაქირავებულთან, იმისათვის რომ მას გარკვეული პერიოდით შეეზღუდოს სხვა კონკურენტთან მუშაობა, ან მსგავსი საქმიანობის განხორციელება

■ **დამქირავებლისთვის მუშაობა (Work-for-hire agreement)** - როდესაც რაიმეს ცვლილება ხდება პროდუქტში დაქირავებული თანამშრომლის მიერ, კომპანია დარწმუნებული უნდა იყოს რომ ყველა ეს უფლება მას ეკუთვნის, მოცემული ხელშეკრულება სწორედ ამგვარ საკითხებს არეგულირებს. იმ შემთხვევაშიც კი როდესაც გამოგონებას ეხება საქმე, სავალდებულოა მათი გამოგონების სარეგისტრაციო ფორმაში შეყვანა, თუმცა მათი უფლებები არ გავრცელდება დაპატენტებულ პროდუქტზე.

გარდა მოცემული იურიდიული ინსტრუმენტებისა იმ შემთხვევაში თუკი დამფუძნებელს უკვე მზა პროდუქტი, გამოგონება აქვს შეუძლია მიმართოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - საქპატენტს, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პატენტის, საავტორო უფლების, დიზაინის, სავაჭრო ნიშნის აღება და ამით უფლებების იურიდიულად დადასტურება.²

პატენტი, გამოგონება და სასარგებლო მოდელი³

პატენტი გამოგონებაზე არის დოკუმენტი, რომელსაც გასცემს სახელმწიფო პატენტის მფლობელზე და ადასტურებს მის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე.

გამოგონება გულისხმობს ტექნიკურ გადაწყვეტას მრეწველობის ნებისმიერ დარგში, რომელიც შეიძლება იყოს პროდუქტი (მაგ. მოწყობილობა, ნივთიერება, მიკროორგანიზმთა შტამი), ხერხი (პროცესი), ან პროდუქტის გამოყენება. პატენტში გახსნილი უნდა იყოს დასახული ამოცანის გადაჭრის გადაწყვეტილება და დადებითი შედეგის მიღწევის გზა.

აღსანიშნავია, რომ პატენტი გაიცემა ტექნიკურ გადაწყვეტილებაზე და არა ამოცანაზე.

პატენტი გამოგონებაზე გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკური

² *საქპატენტს მიმართავენ იმ შემთხვევაში, როდესაც უკვე მზა პროდუქტი, დიზაინი ან ხელშესახებია იდეა !

³ <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/89/>

გადაწყვეტა არის ახალი, აქვს საგამომგონებლო დონე (არ არის ცხადი სპეციალისტიისთვის) და არის სამრეწველოდ გამოყენებადი.

პატენტი გამომგონებელს ანიჭებს უფლებას გარკვეული დროის განმავლობაში ისარგებლოს და მიიღოს სარგებელი თავისი გამოგონებით იმ ქვეყნის (ან რეგიონის) ტერიტორიაზე, სადაც შეიტანა საპატენტო განაცხადი, ამ ქვეყნის (ან რეგიონის) კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, პატენტი მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, აუკრძალოს სხვა პირებს თავისი ნებართვის გარეშე პატენტით დაცული პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა, პატენტით დაცული ხერხის გამოყენება ან გასაყიდად შეთავაზება და, აგრეთვე, პატენტით დაცული ხერხით უშუალოდ მიღებული პროდუქტის გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა.

პატენტის მფლობელს შეუძლია უფლება მისცეს ან გასცეს ლიცენზია სხვა პირებზე პატენტის გამოყენების შესახებ, ურთიერთ შეთანხმებული პირობებით. სასარგებლო მოდელი არის გამოგონების მსგავსი ობიექტი (ტექნიკური გადაწყვეტა), რომელიც ეხება მონყობილობას, ხერხს და მათი ახალი დანიშნულებით გამოყენებას. სასარგებლო მოდელს აქვს გამოგონებასთან შედარებით ნაკლებად მკაცრი მოთხოვნები პატენტუნარიანობის კრიტერიუმებთან მიმართებაში, განაცხადის განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოების შემცირებული ვადები და გამარტივებული პროცედურები. სასარგებლო მოდელის პატენტის მოქმედების ვადა საქართველოს ტერიტორიაზე არის 10 წელი. სასარგებლო მოდელის პატენტის გამოყენება შესაძლებელია გამოგონების პატენტის ანალოგიურად.

დიზაინი⁴

არის პროდუქტის გარეგნული სახე, გამოხატულება. პროდუქტად მიიჩნევა ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მაგალითად, ავეჯი, სამოსი, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი, კვების პროდუქტები, სამედიცინო იარაღები, ფართო მოხმარების ნივთები, სავაჭრო და სარეკლამო მონყობილობები, საფუთავები და სხვ. დიზაინად ითვლება ისეთი ობიექტებიც, რომლებსაც არ აქვთ მატერიალური საგნის სახე, მათ შორის გრაფიკული სიმბოლო, ლოგო, ტიპოგრაფიული შრიფტი და კომპიუტერული ინტერფეისი. ამასთან, შესაძლებელია არა მთელი პროდუქტის, არამედ მისი ნაწილის დაცვა, შესაძლებელია აგრეთვე პროდუქტების ნაკრების (კომპლექტის),

⁴ <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/54/>

როგორც ერთი დიზაინის დაცვაც.

დიზაინად არ ითვლება კომპიუტერული პროგრამები, ლანდშაფტური დიზაინი, ცოცხალი ორგანიზმები, ნატურალური ხილი და ბოსტნეული.

დიზაინის დაცვა ხდება მისი რეგისტრაციით. რეგისტრაციის პროცედურა, იწყება საქპატენტში განაცხადის წარდგენით. განაცხადის წარდგენა შესაძლებელია, როგორც ელექტრონულად (მისამართზე - www.online-sakpatenti.org.ge) ასევე, მისი საქპატენტში უშუალო წარდგენით.

სასაქონლო ნიშანი⁵

ეს არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს/მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისგან/მომსახურებისგან.

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს:

სიტყვა ან სიტყვები, ადამიანის სახელი, ასოები (BMW), ციფრები (212), ბგერები (Nokia მელოდია) გამოსახულება, კომბინირებული სიმბოლოები, სამგაბზომილებიანი ფიგურა.

საავტორო უფლებები⁶

საავტორო უფლებები არის უფლებები, რომელიც წარმოეშვა ავტორს მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან დაკავშირებით.

საავტორო უფლებები იცავს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს.

ასეთ ნაწარმოებებს მიეკუთვნება ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში შექმნილი ყველა ნამუშევარი, მისი გამოსახვის ხერხისა და ფორმის მიუხედავად, როგორცაა:

- ლიტერატურული ნაწარმოებები: წიგნები, ბროშურები, სტატიები და სხვა წერილობითი ნაწარმოებები; ლექციები, მიმართვები, ქადაგებები და ამავე ხასიათის სხვა ნაწარმოებები;

⁵ <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/25/>

⁶ <http://www.sakpatenti.gov.ge/ka/page/121/>

- დრამატული ან მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოებები;
- ქორეოგრაფიის, პანტომიმის და სხვა სასცენო ნაწარმოებები;
- ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებები;
- აუდიოვიზუალური (კინემატოგრაფიული) ნაწარმოებები;
- სახვითი ხელოვნების, ფერწერული, სკულპტურული ნაწარმოებები, გრაფიკა და ლითოგრაფია; თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებები;
- ფოტოგრაფიული ან ფოტოგრაფიის ანალოგიური საშუალებებით შექმნილი ნაწარმოებები;
- დეკორატიული, გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოებები;
- რუკები, გეგმები, ესკიზები, ილუსტრაციები და სხვა მსგავსი ნაწარმოებები, რომლებიც განეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას, კარტოგრაფიას ან სხვა დარგებს;
- არქიტექტურული, ქალაქმშენებლობის და საბაღე-საპარკო ხელოვნების ნაწარმოებები;
- გადამუშავებული ნაწარმოებები, კერძოდ, თარგმანი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, მიმოხილვა, ინსცენირება, კომპილაცია, მუსიკალური არანჟირება და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების სხვაგვარი გადამუშავება;
- შედგენილი ნაწარმოებები, კერძოდ, კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მასალის შერჩევასა და განლაგების მიხედვით ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენენ;
- კომპიუტერული პროგრამები;
- სხვა ნაწარმოებები.

საავტორო უფლებებით დაიცვება მეცნიერების, ლიტერატურისა და

ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ხარისხისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

საავტორო უფლებები არ ვრცელდება შემდეგ ნაწარმოებებზე:

- ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონები, სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული და ნორმატიული ხასიათის სხვა ტექსტები), აგრეთვე მათ ოფიციალურ თარგმანებზე;
- სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ჯილდოები, ფულის ნიშნები, სახელმწიფოს სხვა ოფიციალური ნიშნები და სიმბოლოები);
- ინფორმაციაზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.

■ დავალება

ვთქვათ, სტარტაპი „Make“ მუშაობს ინოვაციურ მობილურ აპლიკაციაზე, რომელიც საშუალებას მისცემს სხვადასხვა სერვისის შემქმნელ ადამიანებს გაყიდონ თავიანთი მომსახურება. მსგავსი მოდელის აპლიკაციები უკვე არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა დამფუძნებლებმა მოიფიქრეს უნიკალური ალგორითმი, რომელიც მათ აპლიკაციას უფრო სწრაფსა და მოქნილს ხდის.

დამფუძნებლებმა მუშაობა 1 თვის წინ დაიწყეს და უკვე საჭიროა სტარტაპის საქმიანობაში გუნდის ახალი წევრების დამატება, კერძოდ: დიზაინერი, iOS დეველოპერი. ასევე უკვე საჭირო გახდა სხვადასხვა პარტნიორებთან ურთიერთობის დაწყება და მათთვის იდეის და პროდუქტის პროტოტიპის გაცნობა.

მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. როგორ შეუძლიათ Make-ს დამფუძნებლებს თავიანთი იდეის დაცვა ?
2. როგორ შეიძლება ახალი თანამშრომლების დამატება და ამავე დროს იდეის და პროდუქტის იურიდიულად დაცვა კოპირებისგან ?
3. როგორ ფიქრობთ შეუძლიათ „Make“ დამფუძნებლებს თავიანთ იდეაზე პატენტის აღება ?

შემსრულებელი: თამთა გველესიანი

BTU

ბიზნესისა და
ტექნოლოგიების
უნივერსიტეტი

